# სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №14

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2016 წლის 4 ოქტომბერი

დაბა თიანეთი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია

ერთის მხრივ *თიანეთის ა(ა) იპ სპორტული კლუბი „თიანეთის" დირექტორის გიორგი ბიწკლაშვილის მიერ (ორგ. საიდენტ. კოდით 432385661)*

( შესყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

( შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ *ა(ა)იპ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას (ორგ. საიდენტ. კოდი 436036399)*

( მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

(შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სპორტთან დაკავშირებული მომსახურეობები - CPV კოდით 92622000, სპორტული ღონისძიების ორგანიზება- მინი ფეხბურთის ტურნირის ორგანიზება.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მომსახურეობის ღირებულება შეადგენს 282 ( ორას ოთხმოცდა ორი ლარი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) მომსახურების ერთეულის ფასი შეადგენს 282 ლარს.

ბ) მომსახურეობა გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს მომსახურების მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე, ასევე დროულობაზე.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მომსახურების ღირებულება.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

## 8. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული მომსახურება იქნება მაღალხარისხოვანი და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება წინასწარი გადახდით.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა – მოქმედებს 2016 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.

18.2. ხელშეკრულების მიწოდების ვადაა – 2016 წლის 17 ოქტომბერი.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**შემსყიდველი ორგანიზაცია:**

დასახელება *თიანეთის ა(ა) იპ სპორტული კლუბი „თიანეთი"*

მისამართი *თიანეთი. რუსთაველის ქუჩა № 52*

ტელეფონი *0348 291494*

მომსახურე ბანკი *ს.ს „ლიბერთი ბანკის" თიანეთის ფილიალი*

საბანკო ანგარიში *GE74LB0115120122748000*

საიდენტიფიკაციო კოდი *432385661*

ხელმოწერა

„ *4* " *ოქტომბერი* *2016* *წელი*

**მიმწოდებელი**

დასახელება *ა(ა)იპ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა*

მისამართი *ქ. მცხეთა.*

ტელეფონი *551 57 98 57*

მომსახურე ბანკი *სახელმწიფო ხაზინა სატრანზიტო კოდი 74 656 7519*

საბანკო ანგარიში *74656 7519*

საიდენტიფიკაციო კოდი *436 036 399*

ხელმოწერა

„ *4* " *ოქტომბერი* *2016* *წელი*

ბ.ა.

### მიღება- ჩაბარების აქტი № 52

დაბა თიანეთი „ “ ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ (შემსყიდველი)

*თიანეთის ა(ა) იპ სპორტული კლუბი „ თიანეთის“ დირექტორი გიორგი ბიჩელაშვილი (ორგ. საიდენტ. კოდით 432385661)*

და მეორეს მხრივ (მიმწოდებელი)

*ა(ა)იპ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორი გ. ყაჩლავაშვილი (ორგ. საიდენტ. კოდი 436036399)*

ამ აქტით ვადასტურებთ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2016 წლის 4 ოქტომბერს დადებული მე-14 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარებას, კერძოდ ქ. მცხეთაში, თიანეთის ფეხბურთელთა გუნდის მინი ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობის მიღება-ორგანიზებას, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 282 ( ორას ოთხმოცდაორი ლარი) ლარი.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| --- | --- |
| *თიანეთის ა(ა) იპ სპორტული კლუბი „ თიანეთის“ დირექტორი* | *ა(ა)იპ თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორი* |
| *გიორგი ბიჩელაშვილი* | *გ. ყაჩლავაშვილი* |